



საარჩევნო სიახლენი III

(26 აპრილი - 9 მაისი)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აგრძელებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენის“ მესამე გამოშვებაში წარმოგიდგინთ 2010 წლის, 9 მაისისთვის არსებულ მონაცემებს.

საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებელთა რეგისტრაცია

პოლიტიკური სუბიექტების რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით¹ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერობის კანდიდატი. კანონმდებლობის მიხედვით² 30 აპრილი არის ბოლო ვადა რეგისტრირებული პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიულ სიების წარდგენისათვის. ასევე, თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად ადგილობრივი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადა³.

შესაბამისად, 30 აპრილს დამთავრდა რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ თბილისის მერობის კანდიდატების, თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად ცესკოსთვის პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ვადა.

ცესკოში შევიდა თბილისის მერობის 9 კანდიდატის განაცხადი. 1 მაისისთვის ცესკომ ყველა კანდიდატი გაატარა რეგისტრაციაში. თბილისის მერობის რეგისტრირებული კანდიდატებია:

1. ნიკოლოზ ივანიშვილი - ივანიშვილი „სახალხო დემოკრატები“
2. დავით იაკობიძე - „თორთლაძე-დემოკრატიული პარტია“
3. ზვიად ძიძიგური - „ეროვნული საბჭო“
4. გიორგი უგულავა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

¹ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 126¹⁵, პუნქტი 2;

² საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 126⁶, პუნქტი 1;

³ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 119, პუნქტი 3; მუხლი 126³, პუნქტი 1;



სამართლიანი არჩევნები

5. გიორგი ლალიძე - პ/გ „მომავალი საქართველო“
6. გიორგი თოფაძე - „თოფაძე მრეწველები“
7. გიორგი ჭანტურია - „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან - დემოკრატიული გაერთიანება“
8. თამაზ ვაშაძე - პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა“
9. ირაკლი ალასანია-“ალიანსი საქართველოსთვის” ი. ალასანია, ს. სუბარი, დ.უსუფაშვილი, დ.გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი.

30 აპრილს, 14-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა თბილისის საკრებულოს არჩევნებისათვის პარტიული სია ცესკოში. 2 მაისისთვის ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილმა პარტიულმა სიამ გაიარა რეგისტრაცია. ეს პარტიებია:

1. პოლიტიკური გაერთიანება ”საქართველოს სპორტსმენტა კავშირი“
2. პოლიტიკური გაერთიანება „ივანიშვილი-სახალხო დემოკრატები“
3. „თოფაძე-მრეწველები“
4. ”თორთლაძე- დემოკრატიული პარტია“
5. პოლიტიკური მოძრაობა ”სოლიდარობა“
6. “ალიანსი საქართველოსთვის” (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ.გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
7. პოლიტიკური პარტია ”მომავალი საქართველო“
8. პოლიტიკური პარტია”ჩვენი ქვეყანა“
9. „ეროვნული საბჭო“;
10. „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება“
11. „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“
12. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“
13. პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“
14. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

30 აპრილი იყო ასევე ბოლო ვადა ⁴, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის (# 7 ჩუღურეთის, # 12 გურჯაანისა და # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში) პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისათვის.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოხდა შემდეგი მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა:

⁴ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 118, პუნქტი 1;

**# 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქი**

1. ლანა გალდავა - „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია“
2. ანდრო ალავიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

12 გურჯაანის საარჩევნო ოლქი

1. ლევან ჩოლოყაშვილი - „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია“
2. ზაზა ნაცვლიშვილი - „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“
3. ლევან კობერიძე - „მომავლის პარტია“
4. გიორგი ჩივიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქი

1. მია ორჯონიკიძე - „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია“
2. გოჩა შანიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
3. ილია კალანდაძე - „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“

დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

2010 წლის 30 მაისის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამ ეტაპისათვის დარეგისტრირებულია 19 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია:

1. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“;
2. „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“;
3. ფონდი „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია“;
4. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
5. რეგისტრირებული კავშირი „ჯანმრთელი სამყარო“;
6. რეგისტრირებული კავშირი „თავისუფალი არჩევანი“;
7. რეგისტრირებული კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
8. კავშირი „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“;
9. სამართლებრივი განვითარების საზოგადოება;
10. კავშირი „ევროპასთან თანამშრომლობის საზოგადოება“;
11. საერთო - სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;
12. „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“;
13. „თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია“;
14. კავშირი „ევრაზიის საერთაშორისო თანამეგობრობა“;
15. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „დემოკრატიისა და თავისუფლების ცენტრი“;
16. კავშირი „საქართველოს არასამთავრობო სექტორის და მთავრობის ურთიერთობათა განვითარების ეროვნული ცენტრი“;

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

17. საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი;
18. ადამიანთა უფლებების დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კავშირი „ნდობა“;
19. რეგისტრირებული კავშირი „ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტი“.

და 7 საერთაშორისო ორგანიზაცია:

1. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ეროვნული სექცია“;
2. „ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი“;
3. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
4. „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (მხოლოდ # 24 დმანისის საარჩევნო ოლქში);
5. „საერთაშორისო შრომის სოლიდარობის ამერიკის ცენტრი“;
6. „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“;
7. „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში“.

საარჩევნო ადმინისტრაცია

მონიტორინგის პერიოდში „სამართლიანი არჩევნების“ 73 გრძელვადიანი დამკვირვებელი აკვირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდის საქართველოს 73 საარჩევნო ოლქსა და ამ ოლქებში შემავალ თითოეულ საარჩევნო უბანში. ასევე ორგანიზაციის ცესკო -ს დამკვირვებელი და წარმომადგენლები - ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები ესწრებოდნენ როგორც ცენტრალურ, ისე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებს და აკვირდებოდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პროცესს.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგი

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით⁵, არჩევნებამდე არაუგვიანეს 34 -ე დღისა, უნდა გაიმართოს ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. 24-26 აპრილის განმავლობაში გაიმართა საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომები თითქმის ყველა საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებზე. საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები დროულად არ ჩატარდა შემდეგ საარჩევნო უბნებში: # 56 **ჭიათურის** საარჩევნო ოლქის # 4 საარჩევნო უბანზე (ვინაიდან არ შედგა ქვორუმი, საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა 1 მაისს), # 29 **ყაზბეგის** საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებზე (უამინდობის გამო სხდომები გადაიდო და გაიმართა 28 აპრილს), # 6 **სამგორის** საარჩევნო ოლქის # 117 საარჩევნო უბანზე (მას შემდეგ რაც სამოქალაქო რეესტრმა სამგორის საარჩევნო ოლქს

⁵ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 4;



სამართლიანი არჩევნები

მიაწოდა ამომრჩეველთა სიები, ოლქის # 79 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული აღმოჩნდა 1613 ამომრჩეველი, მაშინ როდესაც ერთი უბნის ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობაა 1500. შესაბამისად, აღნიშნული უბანი გაიყო ორად და სამგორის ოლქს დაემატა ახალი, # 117 საარჩევნო უბანი). # 6 სამგორის საარჩევნო ოლქის # 202 საარჩევნო უბანზე (საარჩევნო უბანი შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა მოთხოვნით, სადაც ხმას მისცემს მესაკუთრეთა განცხადებით სამოქალაქო რეესტრის მიერ რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველი).

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნებად ყველგან არჩეულ იქნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ყველა საარჩევნო ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა სიები კანონით დადგენილ ვადაში, არა უგვიანეს 26 აპრილისა. გამონაკლისს წარმოადგენდა # 6 სამგორისა და # 29 ყაზბეგის საარჩევნო ოლქები.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით⁶, ახლადშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის შენობაში აკრავს ამომრჩეველთა სიებსა და მათთან დაკავშირებულ საჩივრის განხილვის წესს. მონიტორინგის შედეგებით, ყველა საარჩევნო ოლქში მოხდა ახლად შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების გამოკვრა კენჭისყრის შენობაში, გარდა # 6 სამგორის საარჩევნო ოლქის # 2, # 117 და # 202 საარჩევნო უბნებისა, # 14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის # 3 საარჩევნო უბნისა.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა ისეთი საარჩევნო უბნები, სადაც ამომრჩეველთა სიები გამოიკრა, მაგრამ საჩივრის შეტანისა და განხილვის შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაცია არ იყო მითითებული. კერძოდ: # 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის უმრავლეს საარჩევნო უბნებზე, # 12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის # 1 და # 47 საარჩევნო უბნებზე, # 16 ყვარლის საარჩევნო ოლქის # 29 საარჩევნო უბანზე, # 14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის # 1, # 7, # 22 და # 19 საარჩევნო უბნებზე, # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის # 45, # 7, # 5, # 55 და # 31 საარჩევნო უბნებსა (აღნიშნული ინფორმაციის გამოკვრა მოხდა „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის მითითების შემდეგ) და # 62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის ზოგიერთ უბანზე (აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბნებმა საარჩევნო დოკუმენტაცია გვიან წაიღეს საარჩევნო ოლქებიდან და შესაბამისად, გვიან მოხდა ინფორმაციის გამოკვრა).

საუბნო საარჩევნო კომისიები სრულად არის დაკომპლექტებული უმეტესი ოლქის საარჩევნო უბნებში. თუმცა, წევრები აკლიათ რიგი საარჩევნო ოლქების, რამოდენიმე საარჩევნო უბანს: # 26 თეთრიწყაროს (აღნიშნული დანაკლისი გამოიწვია „ლეიბორისტული/შრომის პარტიის“ მიერ დოკუმენტაციის დაგვიანებით წარადგენამ. 3 მაისს უკვე შევსებული იყო რაოდენობა), # 25 წალკის, # 19 თიანეთის („რესპუბლიკურმა პარტიამ“ არ წარადგინა არც ერთი წევრი), # 10 გლდანის (# 110, # 111 და # 112 საარჩევნო უბნებზე „კონსერვატიულ პარტიას“ არ ჰყავდა წევრი), # 30 კასპის (# 2 და # 28 საარჩევნო უბნებზე), # 40 ახალქალაქის (საარჩევნო უბნების უმეტესობა არ არის დაკომპლექტებული „რესპუბლიკური“ და „ლეიბორისტული“ პარტიების

⁶ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 13, პუნქტი 1;



სამართლიანი არჩევნები

წარმომადგენლებით), **# 32 გორის** (ყველა უბანი დაკომპლექტებული იყო 13 წევრით, თუმცა პირველ სხდომებს 13-ვე წევრი უბნების დიდ რაოდენობაზე არ ესწრებოდა. ამჟამად საუბნო საარჩევნო კომისიებიდან პარტიებმა გამოიწვიეს წევრები და მათ ადგილს სხვა წევრები დაიკავებენ. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულმა წევრებმაც დაწერეს განცხადება და უარი თქვეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე. ღიად დარჩა 4 ვაკანსია, ამიტომ სოლქო საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა ხელახალი კონკურსი ვაკანსიების შესავსებად), **# 48 ხარაგაულის** (**# 4** და **# 28** საარჩევნო უბნებზე საოლქო საარჩევნო ოლქის მიერ არჩეული კომისიის 2-მა წევრმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საუბნო საარჩევნო კომისია და მათ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა კონკურსი), **# 51 ზესტაფონის** (**# 20** საარჩევნო უბანზე წარმომადგენელი არ ჰყავდა „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“), **# 43 ონის** (**# 14** საარჩევნო უბანზე „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ არ ჰყავდა წევრი), **# 65 მარტვილის** (**# 29** და **# 3** საარჩევნო უბნებზე ოლქის მიერ დანიშნულმა წევრებმა განცხადების საფუძველზე დატოვეს უბნები), **# 80 ქედის** (**# 11** და **# 13** საარჩევნო უბნებზე წევრებმა კომისიის წევრობაზე უარი თქვეს პირადი განცხადების საფუძველზე), **# 83 ხელვაჩაურის** (**# 65** და **# 42** საარჩევნო უბნებზე წევრებმა კომისიის წევრობაზე უარი თქვეს პირადი განცხადების საფუძველზე), **# 70 ფოთის** (**# 5**, **# 15**, და **# 26** საარჩევნო უბნებზე), **# 58 წყალტუბოს** (**# 20**, **# 37**, **# 53** და **# 61** საარჩევნო უბნებზე „რესპუბლიკურმა პარტიამ“ გამოცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებიც მდივნებად იყვნენ დანიშნულები) საარჩევნო ოლქები. შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა გამოაცხადეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესავსები კონკურსები.

რეგისტრირებულმა პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა ყველა ოლქში წარადგინეს მაჟორიტარი კანდიდატები კანონით დადგენილ ვადაში⁷, არა უგვიანეს 30 აპრილისა. ამავე დღეს, შესაბამის საარჩევნო ოლქებში პოლიტიკურმა პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა წარადგინეს პარტიული სიები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით. ვინაიდან პარტიულ სიებში იყო დარღვევები, საარჩევნო ოლქებმა რეგისტრაციაში არ გაატარეს პარტიული სიების ნაწილი და მათ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მისცეს დრო. ასეთი ოლქებია: **# 70 ფოთის** („ეროვნული საბჭოს“ სიებში), **# 82 შუახევის** („ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“, „ეროვნული საბჭოსა“ და „თოფაძე -მრეწველების“ როგორც პარტიული სია, ასევე მაჟორიტარი კანდიდატების სია), **# 59 ქუთაისის** („ეროვნული საბჭოს“, „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ სიებში) საარჩევნო ოლქები. ამ ოლქებში ხარვეზების გასწორების შემდეგ კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოხდა მათი დარეგისტრირება. თუმცა ზოგიერთი პარტიული სიის წარმომადგენელი მაინც ვერ დარეგისტრირდა, რადგან საბუთები სრულყოფილი არ იყო ხარვეზის გასწორების ვადის მიცემისა და ამ ვადის გასვლის შემდეგაც.

საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების სია გადაეცათ იმ საარჩევნო ოლქებს, სადაც ასეთი სახის მოსამსახურეები არსებობენ.

⁷ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 119, პუნქტი 3;



სამართლიანი არჩევნები

კანონით დადგენილ ვადაში⁸, 1 მაისს, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სია, გარდა # 59 ქუთისის (გადაცემულია გაზეთში დასაბეჭდად), # 70 ფოთის (სიები მხოლოდ საარჩევნო უბნებზე არის გამოკრული), # 60 ოზურგეთისა და # 62 ჩოხატაურის (ადგილობრივი გაზეთები ამ ოლქებში გამოდის მხოლოდ ორშაბათობით) საარჩევნო ოლქებისა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ღიად არის დარჩენილი იმ წევრების სია, რომლებმაც უარი თქვეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე. ასევე ბოლომდე არ არის დაზუსტებული პარტიების მიერ დანიშნული წევრების სიები, რადგან პარტიები პერიოდულად ცვლიან წევრებს.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, 5 მაისს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 25 დღისა, არის ბოლო ვადა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაციის მოთხოვნის განცხადებით მისამართად. ასეთი განცხადებით კომისიებს მიმართეს შემდეგ საარჩევნო ოლქებში: # 7 ჩუღურეთის, # 8 დიდუბის, # 21 გარდაბნის, # 25 წალკის, # 27 მცხეთის, # 28 დუშეთის, # 46 ლენტეხის, # 56 ჭიათურის, # 62 ჩოხატაურის, # 67 ზუგდიდის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციამ „დეა“ მიმართა საარჩევნო კომისიებს ეტლით მოსარგებლეთათვის მარტივი ადაპტაციის მოთხოვნით) საარჩევნო ოლქებში.

კანონით განსაზღვრულ ვადაში, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ გადასცა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრობის კანდიდატებს კანდიდატთა მოწმობები. თუმცა, ყველა კანდიდატს არ მიუმართავს ოლქისათვის მოქმობის წასაღებად და შესაბამისად მოწმობა ინახება ოლქში. ასეთია # 1 მთაწმინდისა და # 28 დუშეთის საარჩევნო ოლქები.

საარჩევნო კამპანია

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები/მათი მაჟორიტარი კანდიდატები და მერობის კანდიდატები აწარმოებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. წინასაარჩევნო კამპანიები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიერ წარმართა შემდეგ საარჩევნო ოლქებში.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ მოსახლეობას შეხვდა # 1 მთაწმინდის, # 3 საბურთალოს, # 5 ისნის, # 6 სამგორის, # 7 ჩუღურეთის, # 8 დიდუბის, # 10 გლდანის, # 12 გურჯაანის, # 13 სიღნაღის, # 17 თელავის, # 20 რუსთავის, # 21 გარდაბნის, # 24 დმანისის, # 25 წალკის, # 26 თეთრიწყაროს, # 43 ონის, # 45 ცაგერის, # 50 საჩხერის, # 51 ზესტაფონის, # 56 ჭიათურის, # 58 წყალტუბოს, # 59 ქუთაისის, # 60 ოზურგეთის, # 67 ზუგდიდის, # 70 ფოთის, # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებში.

⁸ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 4;



სამართლიანი არჩევნები

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამომრჩევლებთან შეხვედრები გამართა # 1 მთაწმინდის, # 2 ვაკის, # 3 საბურთალოს, # 4 კრწანისის, # 5 ისნის, # 6 სამგორის, # 7 ჩუღურეთის, # 8 დიდუბის, # 9 ნაძალადევის, # 10 გლდანის, # 11 საგარეჯოს, # 12 გურჯაანის, # 13 სიღნაღის, # 14 დედოფლისწყაროს, # 15 ლაგოდეხის, # 16 ყვარლის, # 17 თელავის, # 18 ახმეტის, # 20 რუსთავის, # 21 გარდაბნის, # 22 მარნეულის, # 20 რუსთავის, # 24 დმანისის, # 27 მცხეთის, # 28 დუშეთის, # 29 ყაზბეგის, # 30 კასპის, # 32 გორის, # 36 ბორჯომის, # 43 ონის, # 44 ამბროლაურის, # 45 ცაგერის, # 46 ლენტეხის, # 50 საჩხერის, # 54 სამტრედიის, # 58 წყალტუბოს, # 59 ქუთაისის, # 60 ოზურგეთის, # 61 ლანჩხუთის, # 62 ჩოხატაურის, # 66 ხობის, # 68 წალენჯიხის, # 79 ბათუმის, # 80 ქედის, # 81 ქობულეთის, # 84 ხულოს, # 82 შუაქვიციის, # 83 ხელვაჩაურის, # 84 ხულოს საარჩევნო ოლქებში.

კონსერვატიული პარტია მოსახლეობას შეხვდა # 1 მთაწმინდის, # 3 საბურთალოს, # 4 კრწანისის, # 5 ისნის, # 12 გურჯაანის, # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქებში.

„მოძრაობა ალიანსი საქართველოსთვის“ მოსახლეობას შეხვდა # 4 კრწანისის, # 6 სამგორის, # 7 ჩუღურეთის, # 9 ნაძალადევის, # 11 საგარეჯოს, # 12 გურჯაანის, # 13 სიღნაღის, # 17 თელავის, # 32 გორის, # 43 ონის, # 56 ჭიათურის, # 60 ოზურგეთის, # 63 აბაშის, # 64 სენაკის, # 67 ზუგდიდის, # 68 წალენჯიხის, # 69 ჩხოროწყუს, # 70 ფოთის, # 81 ქობულეთის, # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებში.

„ეროვნულმა საბჭომ“ ამომრჩევლებთან შეხვედრები გამართა # 6 სამგორის, # 7 ჩუღურეთის, # 10 გლდანის, # 14 დედოფლისწყაროს (ეს უფრო წინასწარი გამოკითხვა იყო, იმის გამოსავლენად თუ ვინ დარეგისტრირდებოდა კანდიდატად), # 54 სამტრედიის, # 70 ფოთის, # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქებში.

„საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ“ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა # 4 კრწანისის, # 7 ჩუღურეთის, # 8 დიდუბის, # 26 თეთრიწყაროს, # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქებში.

პარტიამ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ამომრჩევლებთან შეხვედრა გამართა # 12 გურჯაანის საარჩევნო ოლქში.

პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა # 1 მთაწმინდის, # 3 საბურთალოს, # 7 ჩუღურეთის, # 70 ფოთის საარჩევნო ოლქებში.

პარტიამ „სახალხო დემოკრატები“ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა # 6 სამგორის საარჩევნო ოლქში.

„ხალხის პარტიამ“ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქში.

„რესპუბლიკური პარტია“ მოსახლეობას შეხვდა # 12 გურჯაანის, # 50 საჩხერის საარჩევნო ოლქში.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



კანონმდებლობის დარღვევა/საარჩევნო კამპანიის ხელის შეშლა/ზეწოლა/დაშინება

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, განსაკუთრებით ხშირად დაფიქსირდა რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატების მხრიდან თავისი ნებით რეგისტრაციის მოხსნა.

68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქში „ალიანსი საქართველოსათვის“ წალენჯიხის ორგანიზაციის ლიდერმა, დათო ბელქანიამ 29 აპრილს განაცხადა, რომ ხელისუფლების მხრიდან ხორციელდება ზეწოლა მათ მაჟორიტარ კანდიდატებზე. ორი დღის შემდეგ, 1 მაისს ზვიად გერგედავამ, „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარმა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა საკუთარი განცხადების საუბველზე.

69 ზუგდიდის საარჩევნო ოლქში „სამართლიანი საქართველოსათვის“ ოფისის თავმჯდომარემ, ლუიზა (იზოლდა) თევზაძემ ორგანიზაციის გრძელვადიან დამკვირვებელს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პარტიის წევრი გულორდავა რამოდენიმე დღის განმავლობაში არ გამოჩნდა პარტიაში, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. მოგვიანებით, პარტიის წევრმა გულორდავამ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი განაცხადა პარტიის წევრობაზე.

14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა თენგიზ ტუხაშვილმა, რომელიც კენჭს იყრიდა წითელწყაროს მაჟორიტარულ ოლქში მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

იმავე, **# 14 დედოფლისწყაროს** საარჩევნო ოლქში „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მაჟორიტარმა კანდიდატმა ავთანდილ ხარხელაურმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა ზემო ქედის მაჟორიტარული ოლქში.

81 კობულეთის საარჩევნო ოლქში „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ჩაქვის **# 3** უბნის მაჟორიტარობის დეპუტატობის კანდიდატმა ხამზა გორგაძემ უარი განაცხადა კანდიდატობაზე და მოძრაობა „ალიანსი საქართველოსთვის“ გადავიდა. მან დეტალური მიზეზების დასახელებისაგან სატელეფონო კომენტარში თავი შეიკავა, მიზეზების გარკვევა ვერც „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორმა მოახერხა.

60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქში პოლიტაკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსის“ მაჟორიტარმა კანდიდატებმა ალექო რუსიეშვილმა და ჭიჭიკო ხელაძემ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები; ამავე საარჩევნო ოლქში, კანდიდატურები მოიხსნეს „თოთლაძე-დემოკრატიული პარტიის“ მაჟორიტარმა კანდიდატებმა - ნიკოლოზ ლლონტმა და თემურ სოსელიამ. ასევე კანდიდატურა მოიხსნა „ალიანსი საქართველოს“ კანდიდატმა ნობნა მდინარაძემ.



სამართლიანი არჩევნები

იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომელთა მაჟორიტარობის კანდიდატებმაც მოიხსნეს რეგისტრაცია, ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საუბარში აცხადებენ, რომ ამ პიროვნებებმა უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, მათზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ კანდატები, „სამართლიანია არჩევნების“ წარმომადგენლებთან ზეწოლის ფაქტებს არ ადასტურებენ.

60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა **# 13 წარუჯი** საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ინგა მაჭარაშვილის (საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრი) განცხადება. აღნიშნული კომისიის წევრი მოითხოვდა საუბნო საარჩევნო კომისიიდან გათავისუფლებას, და ამის მიზეზად ასახელებდა სოფლის ყოფილი რწმუნებულის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამჟამინდელი მაჟორიტარობის კანდიდატის ვალოდია ბერიძის მხრიდან ზეწოლას. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ კანდიდატი ინგა მაჭარაშვილს ადანაშაულებდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ სასარგებლო აგიტაციაში და კომისიის წევრობიდან გათავისუფლებით ემუქრებოდა. **# 13** საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობიდან გათავისუფლების თხოვნით ინგა მაჭარაშვილმა თავდაპირველად უშუალოდ ამავე საარჩევნო უბანს მიმართა, თუმცა ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისია კანონმდებლობით არ არის უფლებამოსილი მსგავსი გადაწყვეტილების მიღებაზე, **# 13** საუბნო საარჩევნო კომისიასმ ეს განცხადება რეგისტრაციაში არ გაატარა. განცხადება იგივე მოთხოვნით, ინგა მაჭარაშვილმა შეიტანა **# 60 ოზურგეთის** საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც ამასთან დაკავშირებითაც სხდომა გაიმართა. სხდომაზე მიღებული იქნა განკარგულება, რომლის მიხედვითაც **# 13** საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს გამოეცხადათ გაფრთხილება. საოლქო საარჩევნო კომისიამ აღნიშნული კომისიის წევრი - ინგა მაჭარაშვილი, დატოვა **# 13** საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად, რასაც ქალბატონი თავად დათანხმდა.

67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქში, ალიანსი საქართველოსათვის ოფისის თავჯდომარის ნონა თოლორაიას განცხადებით, სოფელ **ორულუში # 61** საარჩევნო უბანზე ალიანსი საქართველოსათვის წარმომადგენელზე - ზურაბ მამფორიაზე, რომელიც იყო საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი, განხორციელდა ზეწოლა და დაშინება რის შედეგად დაწერა განცხადება საარჩევნო ოლქიდან წასვლასთან დაკავშირებით. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი, მიუხედავად მცდელობისა, ვერ დაუკავშირდა აღნიშნულ პიროვნებას.

26 მაისს, **# 13 სიღნაღის** საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატი, კონსტანტინე ხმალაძე (ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი) მივიდა **# 1** საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან საუბნო კომისიისთვის შერჩეული ოთახის გამოცვლის მოთხოვნით, რომელიც წინასწარ არ იყო შეთანხმებული საოლქო საარჩევნო კომისიასთან. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო „სამართლიანი არჩევნების“ წევრი ელეონორა გელაშვილი, რომელმაც ხმალაძეს შეახსენა, რომ იგი არის რიგითი საარჩევნო სუბიექტი და მას არ ეხება საარჩევნო უბნის განთავსების საკითხი. ამასთანავე, საკითხის შეთანხმება ამასთან დაკავშირებით არა საუბნო, არამედ საოლქო

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

საარჩევნო კომისიასთან უნდა მომხდარიყო. აღნიშნულის გამო, კანდიდატმა ხმალაქემ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა ორგანიზაციის წევრს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით **# 13 სიღნაღის** საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეს შეხვდა „სამართლიანი არჩევნების“ სიღნაღის გრძელვადიანი დამკვირვებელი. „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს ყველა საარჩევნო სუბიექტს კონსტრუქციულად და კანონის ფარგლებში ითანამშრომლონ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან, რათა მათი ქმედება არ იქნას ალქმული, როგორც დამოუკიდებელ სადამკვირვებლო ორგანიზაციის წევრებზე ზეწოლად.

66 ხობის საარჩევნო ოლქში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა რევაზ წულაიამ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა ნოჯიხევის ბაღის გამგეს ქმ-ნ მაია ცქირიას და დაემუქრა, რომ იმ შემთხვევაში თუ ის მხარს არ დაუჭერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ დატოვებს დაკავებულ თანამდებობას. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ბაღის თანამშრომლები და ასევე ეს ფაქტი გადაიცა ფოთის ადგილობრივი ტელევიზიის ეთერით. ბაღის გამგის განცხადებით, მასზე ზეწოლა განხორციელდა იმის გამო, რომ მისი ნათესავი (სიძე) - მამუკა ქარდავა არის „ეროვნული საბჭოს“ მაჟორიტარი კანდიდატი.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, **# 46 ლენტეხის** საარჩევნო ოლქში სოფლის რწმუნებული სოციალურად დაბალ ზღვარს მიღმა მყოფ ამომრჩევლებზე ახორციელებენ ზეწოლას (სოფელი **ქახუნდერი**). კერძოდ, ხდება ამომრჩეველთა დაშინება - იმ შემთხვევაში თუ არ გაიმარჯვებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნულ მოქალაქეებს მოეხსნებათ სოციალური სახის დახმარებები. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა **# 84 ხულოს** საარჩევნო ოლქში (**ვაშლოვანის** თემში), სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროსი მინურ აბულაძე (რომელიც ასევე არის საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი) ინდივიდუალური შეხვედრების დროს ვაშლოვანის თემის ამომრჩევლებს სოციალური დახმარების მოხსნით ემუქრება, იმ შემთხვევაში თუ ისინი არჩევნებზე ხმას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ არ მისცემენ.

„ალიანსი საქართველოს“ განცხადებით, 4 მაისს **# 2 ვაკისა და # 3 საბურთალოს** საარჩევნო ოლქებში პარტიამ გააკრა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის ბეჭდვითი მასალები (პოსტერები). პარტიის განცხადებით, იმავე საღამოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა „ალიანსი საქართველოს“ პოსტერებს გადააკრეს თავისი პოსტერები. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანმა დამკვირვებელმა გადაამოწმა აღნიშნული ინფორმაცია და დადასტურდა, რომ **# ჭავჭავაძის** საარჩევნო ოლქში, **ჭავჭავაძისა და ფალიაშვილის** (გეგეშიძის ბაღთან) ქუჩებზე და **# 3 საბურთალოს** საარჩევნო ოლქში, **ვაჟა ფშაველას III და VII** მიკრო რაიონებში, **IV და VI** მიკრო რაიონებს შორის, ნამდვილად გადაკრული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატთა პოსტერები „ალიანსი საქართველოს“ კანდიდატების პოსტერებზე. 5 მაისს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოძრაობამ „ალიანსი საქართველოსთვის“ გამართა სპეციალური ბრიფინგი. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა **# 3 საბურთალოს** საარჩევნო ოლქში, „ქრისტინა-დემოკრატიული მოძრაობის“ სააგიტაციო მასალებთან დაკავშირებით. პარტიის წარმომადგენლების განცხადებით ისინი შეესწრნენ საბურთალოს ქუჩაზე უცნობი პიროვნებების მიერ მათი პოსტერების ჩამოხევის

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

პროცესს. პარტიის წარმომადგენლებთან აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ არიან დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლები. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებით, **# 9 ნაძალადევისა და # 59 ქუთაისის** საარჩევნო ოლქებში, პარტიის სააგიტაციო მასალები - პოსტერები, ყოველდღე დაზიანებული ხვდებათ. *შეგახსენებთ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126⁹ მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა არის კანონის დარღვევა და იწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.*

62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქში, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს დიმიტრი კორიფაძეს და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატებს გასაიდუმლოებული შეხვედრები ჰქონდა ჩოხატაურის სკოლის დირექტორებთან იმის გასარკვევად, იყვნენ თუ არა სკოლაში ოპოზიციური პარტიების მომხრე პედაგოგები. ასეთის არსებობის შემთხვევაში სკოლის დირექტორებს დაევალოთ ამ პედაგოგების სიის (ე. წ. „შავი სიის“) შედგენა.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ აჭარის ოფისის წარმომადგენლების განცხადებით, **# 84 ხულოს** საარჩევნო ოლქში დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი მმართველი პარტიის მხრიდან. კერძოდ, მათი განცხადებით, სოფელ ოქრუაშვილებში 5 მაისს წინასაარჩევნო შეხვედრა ერთობლივად გამართა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა - ზურაბ ხოზრევანიძემ, ხულოს საკრებულოს აგრალურ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ (ამჟამად შვებულებაში იმყოფება) და ამავე დროს ხულოს საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის მეორე ნომერმა - ნოდარ თავართქილაძემ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა - ასლან ტუნაძემ, ამჟამინდელ საკრებულოში დეკანაშვილების თემის მაჟორიტარმა - ემზარ აბულაძემ. პარტიის განცხადებით ოქრუაშვილების საჯარო სკოლაში გამართული წინასაარჩევნო შეხვედრის გამო, სასწავლო პროცესი ჩაიშალა. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ საარჩევნო კამპანია არ უნდა გახდეს სასწავლო პროცესის ჩაშლის მიზეზი და უარყოფითად აფასებს მსგავსი ტიპის შემთხვევებს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით **# 84 ხულოს** საარჩევნო ოლქში „ხალხის პარტიის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ნოდარ აბაშიძემ შეიტანა საჩივარი, რომელშიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩეველზე ზეწოლაში ადანაშაულებს⁹. აღნიშნულ განცხადებას ოლქი 12 მაისს სხდომაზე განიხილავს.

⁹ ეროვნული საბჭოდან ხულოს ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატის განცხადებაში ნათქვამია, რომ შეხვედრის შემდეგ ხულოს საკრებულოს აგრალურ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის მეორე ნომერმა ნოდარ თავართქილაძემ გვერდით გაიწვია მაჟორიტარობის კანდიდატის თამაზ აბაშიძის შვილი, ოქრუაშვილების საჯარო სკოლის პედაგოგი - ბადრი აბაშიძე და სთხოვა არჩევნებზე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მისცეს ხმა, ასევე ხელი შეუწყოს რომ ყველამ ნაციონალურ მოძრაობას დაუჭიროს მხარი.



სამართლიანი არჩევნები

17 თელავის საარჩევნო ოლქში, **# 29 საუბნო** საარჩევნო კომისიის (საარჩევნო ოლქის მიერ დანიშნული) წევრი გოგონა შავაძე, რომელიც ასევე არის საჯარო სკოლის ბუღალტერი და პენსიებისა და დახმარების ინკასატორიც (საჯარო მოსამსახურე)¹⁰, პენსიებისა და დახმარებების გაცემის დროს ეწევა ზეპირ აგიტაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73 მუხლის, 5 პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს 1. საარჩევნო კომისიების წევრებს; 2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს, როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს.

15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლის ნანა ბოკერიას განცხადებით, ქალაქ ლაგოდეხში არსებულ მეურნეობის ქუჩაზე აგებენ ასფალტის საფარს და კეთდება სპორტული მოედანი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრები ამის სანაცვლოდ ამომრჩეველს არჩევნებზე მხარდააჭერას სთხოვენ. „სამართლიანი არჩევნები“ გრძელვადიან დამკვირვებელთა საუბარში ასეთი ამომრჩევლები არც ადასტურებენ და არც უარყოფენ აღნიშნულ ფაქტს.

ამომრჩეველთა სიები

„სამართლიანი არჩევნების“ მონიტორინგის შედეგების ამსახველ წინა გამოშვებებში საუბარი იყო ამომრჩეველთა სიებში არსებულ იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც დაუყოვნებელ რეაგირებას საჭიროებდა. განსაკუთრებით აღინიშნა ის 12 000-მდე ამომრჩეველი, რომელთაც 2008 წლიდან (საქართველოს სამოქალაქო რეესტრის ინფორმაციით), ბინის მესაკუთრეთა განცხადებების საფუძველზე გაუუქმდათ რეგისტრაციის ადგილი. არ იყო დარეგულირებული ამ ამომრჩეველთა ბედი, მიიღებდა თუ არა ამ კატეგორიის ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობას და რა პრინციპით. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამომრჩეველი ირჩევს იმ თვითმმართველობას, რომელსაც იგი თავისი რეგისტრაციის ადგილით მიეკუთვნება. ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. შესაბამისად 12 000-მდე ამომრჩეველი, რომელთაც გაუუქმდათ რეგისტრაციის ადგილი, ვერ იქნებოდა შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან სიაში ძველი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

2010 წლის 2 მაისს გამართულ სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კონსესუსის საფუძველზე გადაწყვიტა ეს საკითხი. კერძოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ამომრჩეველი, რომელიც ბინის მესაკუთრის განცხადების საფუძველზე რეგისტრაციიდან მოიხსნა, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიყვანება მისი ბოლო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ 2010 წლის 14 მაისის ჩათვლით ასეთი ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობის მიზნით განცხადებით მიმართავს შესაბამის საარჩევნო ოლქს და გაივლის რეგისტრაციას, მას მიეცემა უფლება ამავე ოლქში მიიღოს

¹⁰ საქართველოს კანონი «საჯარო სამსახურის შესახებ», მუხლი 4, 5;

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

კენჭისყრაში მონაწილეობა. ასეთი კატეგორიის ამომრჩეველი მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში და ქალაქ თბილისის მერის არჩევნებში (დედაქალაქში რეგისტრირებული ამომრჩეველი). ეს ამომრჩევლები ხმას მისცემენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის შემთხვევაში. იძულებით გადაადგილებულ პირები - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და დევნილის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის პრინციპს - ამომრჩეველმა აირჩიოს იმ კონკრეტული ოლქის თვითმმართველობა, რომელსაც იგი მიეკუთვნება თავისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება თითოეული მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უსაფუძვლო შეზღუდვა დაუშვებელია. მიგვაჩნია, რომ იმ ამომრჩეველს, რომელსაც მესაკუთრის განცხადების საფუძველზე მოეხსნა რეგისტრაცია, უფლება უნდა მისცემოდა აელო ახალი პირადობის მოწმობა ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შესაბამისად ამ შემთხვევაში ასეთი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა თავისი საცხოვრებელი ადგილის შესაბამის საარჩევნო ოლქში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ასეთი ამომრჩეველი აღმოჩნდებოდა უმისამართო, ის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა საარჩევნო კოდექსით უმისამართოების არჩევნებში მონაწილეობისათვის დადგენილი რეგულაციით.

ორგანიზაციის ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 12 მარტს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც 2010 წლის 15 იანვრიდან, 2010 წლის 1 ივნისამდე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო (ახალ მისამართზე დარეგისტრირება) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნაცვლად გაიცემა დროებითი პირადობის მოწმობა, რომლის იურიდიული ძალა მართალია მოქალაქის პირადობის მოწმობის იდენტურია, მაგრამ იგი არ გამოიყენება 2010 წლის 30 მაისის არჩევნებში, აქტიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, დროული და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, შესაძლებელი იქნებოდა/იქნება რეგისტრაცია გაუქმებული ამომრჩევლის არჩევნებში მონაწილეობის საკითხის სწორი და სამართლებრივი დარეგულირება.

ამასთან, ძალზედ მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის ამომრჩევლების დროული ინფორმირება მათი მხრიდან კენჭისყრაში მონაწილეობის დეტალებზე. „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციას მოახდინოს ამ ამომრჩეველთა დროული ინფორმირება, სხვადასხვა ეფექტური კომუნიკაციების საშუალებებით.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სიების გადამოწმება

ორგანიზაციის „საარჩევნო სიახლენის“ II გამოშვებებში საუბარი იყო „სამართლიანი არჩევნების“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, საია-სა და სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლების მიერ ამომრჩეველთა გადამოწმებასთან დაკავშირებით. ზემოთხაზოვნილი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთობლივად გადამოწმეს ის მისამართები, სადაც ბინის მესაკუთრეთა განცხადებებით საკუთრებებიდან რეგისტრაცია გაუუქმდათ ამ საკუთრებაში რეგისტრირებულ პიროვნებებს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე გადამოწმდა რამოდენიმე ასეთი მისამართი. წარმოგიდგინებთ გადამოწმების შედეგად გამოვლენილ გარემოებებს ორ კონკრეტულ მისამართზე.

1. მოსკოვის გამზირი 2, კორპ. 1, ბ. # 112 - აღნიშნული ბინის მესაკუთრეთა მოქალაქე მაია კობახიძე, თუმცა ამავე მისამართზე რეგისტრირებული იყო 7 პიროვნება (ვაჩიკ მინასიანი-რეგისტრაციის თარიღი: 06.06.1997, ვარდკეს მინასიანი-რეგისტრაციის თარიღი: 18.09.1970, კარინა მინასიანი - რეგისტრაციის თარიღი: 03.08.06, ალბერტ მინასიანი - რეგისტრაციის თარიღი: 19.08.1987, სოფია მინასიანი - რეგისტრაციის თარიღი: 31.03.1964, ელენე ვართანიანი - რეგისტრაციის თარიღი: 23.06.1967, ალექსანდრე მინასიანი - რეგისტრაციის თარიღი: 08.06.09), რომლებიც ფაქტობრივად აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდნენ. რეგისტრაციის საფუძველი იყო მესაკუთრის, კერძოდ ვაჩიკ მინასიანის თანხმობა. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია # 882008230666, თარიღი: 23.07.2008, უფლების რეგისტრაცია 24.07.2008) აღნიშნული ბინის მესაკუთრეს წარმოადგენს მაია კობახიძე. აღნიშნული მოქალაქეების სახელზე ბინის მესაკუთრე ყოველთვის იღებდა წყლის გადასახადის ქვითრებს. მან რამდენჯერმე სცადა წყლის გამანაწილებელ კომპანიაში ქვითრების ადრესატის შეცვლა, მაგრამ უშედეგოდ. სამოქალაქო რეესტრის მიერ მოწოდებული მასალიდან ჩანს, რომ 7-დან 6 პიროვნება რეგისტრირებული იყო საბჭოთა პასპორტის რეფორმის საფუძველზე. ერთ-ერთი კი, ალექსანდრე მინასიანი 2009 წლის 25 მაისს, ვაჩიკ მინასიანის (ერთ-ერთი ამოწერილი პირის), როგორც მესაკუთრის თანხმობითა და დასტურით, მაშინ, როდესაც მაია კობახიძეს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოწმობა მიღებული აქვს 2008 წლის 23 ივლისს.
2. ბ. ხელინცკის ქუჩა, კორპ.151, ბ. 22 - აღნიშნული ბინის მესაკუთრეთა აბესალომ ჩიხრაძე -ბინა 1998 წელს შეიძინა. მან განცხადებით მიმართა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურს და მოითხოვა მის ბინაში რეგისტრირებული 3 ადამიანის რეგისტრაციიდან მოხსნა. კერძოდ ეს პირები იყვნენ: ნატალია სარჯველაძე, მაია ვარდოსანიძე და ლაშა ხურციძე. ამ 3 პიროვნებიდან ერთი სხვა მისამართზე იყო რეგისტრირებული, ორი კი - სამოქალაქო რეესტრმა მოხსნა რეგისტრაციიდან. მოქალაქეს არ ახსოვდა, 2008 წლის არჩევნებზე ვინ იყო ამ მისამართზე რეგისტრირებული, თუმცა იგი ადასტურებს რომ ამ პიროვნებათა სახელზე ამომრჩევლის ბარათები ნამდვილად მოიძოდა. ბინის მესაკუთრემ ვერ გაიხსენა რომელი პარტიის მიერ წარდგენილ სიაში იყვნენ ეს პიროვნებები, თუმცა აღნიშნა, რომ თავად უშუალოდ არ უნახავს სია, მხოლოდ წაუკითხეს და ამის შემდეგ დაწერა განცხადება, მათი რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნები“ აგრძელებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს და პერიოდულად წარმოგიდგინებთ მონიტორინგის შედეგებს, ელექტრონული ბიულეტენის - „საარჩევნო სიახლენის“ მომდევნო გამოშვებების მეშვეობით.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge